სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/154

ქ. თბილისი 12 ივნისი 2019

მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების საათობრივი ანაზღაურების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფ. თ. წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საათობრივი ანაზღაურების ნიხრი და ერთი აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 11 ლარის ოდენობით;
2. ზემოაღნიშნული საკითხი გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად;
3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე ეთხოვოს სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსს, პროფ. თ. წერეთელს;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**